საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10511/01
07/10/2021

10511-01-2-202110070953

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N12812 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი მაისის მიმდებარედ, მდ. ცხენისწყლის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევი უბანი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის შესართავის სიახლოვეს, აუცილებელია გათვალისიწნებული იქნას მდ. რიონის გავლენა მისი დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეებზე. საპროექტო უბანზე ნაპირდამცავი ნაგებობის თხემის ნიშნული დადგენილი უნდა იყოს რიონზე მაქსიმალური დონეების პირობებში, ხოლო ნაგებობის ძირის ნიშნული კი - მინიმალური დონის პირობებში;
- დაზუსტებას საჭიროებს კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმის სიდიდე - პროექტში ორი განსახვავებული მნიშვნელობაა მოცემული - 10,6 მ და 6,15 მ;
- სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, რომ უცხოელი სპეციალისტების მიერ გაანგარიშებული წყლის საანგარიშო ხარჯი (3480 $მ^3$ /წმ) მნიშვნელოვნად აღემატება ქართველი სპეციალისტების მიერ გამოთვლილი 1%-იანი უზურნველყოფის ხარჯს (1335 $მ^3$ /წმ). გაუგებარია განმარტება - „ნაპირთან წყლის სრული ხარჯი მიახლოებით 700 $მ^3$ /წმ-ს შეადგენს“. როგორც ჩანს, საანგარიშოდ მიღებულია 700 $მ^3$ /წმ ხარჯი (გვ.28), საპროქტო ნაგებობა გაანგარიშებული უნდა იყოს საქართველოში აპრობირებული წყლის ხარჯის განსაზღვრის მეთოდით, რომლის მიხედვითაც საანგარიშო ხარჯი - 1335 $მ^3$ /წმ ტოლია;
- გრაფიკულ ნაწილში დატბორვის, წარეცხვისა და ნაგებობის დონეებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე